


572 / 2
1989

ISSN 0132-5965

საქართველოს
სამეცნიერო



1989 წ. ნოემბერი № 11

საქართველოს
სამეცნიერო

ოქტომბრის რევოლუციის 72 წელი



ბალახტიონ ტაიიძე

იმიტომ ხდება რევოლუცია

იმიტომ ხდება რევოლუცია,
რომ მოიტანოს დიადი რწმენა,
კვყუროდეს საქმე და სისარული,
აღუროთოჯანება და აღმაურენა.

იმიტომ ხდება რევოლუცია,
მისთვის გაისმის ტყუიის ზუსუნი,
რომ ჰოეტების არ გაისმოდეს
უიქედობა, კუნება, წუწუნი!

სასოწარკვეთა, უსასობა,
ძველ ხანას ჩვენთვის რომ მოუცია,
უნდა გადიწვას და აღიკავოს,
ამიტომ ხდება რევოლუცია.



შეშობილი სურათი

შოთა ცოლაშვილი

სახურავზე უკრავს
წვიმა მოსაწვენად.
დაქრის ცივი ქარი
შამთრის მოსაღებნად.
ნიხლი მოუბურავთ
სერებს მოსახვევად.
ქარი ეჭიდება
ხეებს მოსახრულად.
ბუდე-სორო-ბუნავს
ჩამყურდრებულან,
ერთნი წვეილად, სხვანი —

დათითოვებულან.
ღვას ტყე კაძარცული,
თოვლის მომლოდინე,
ელოდება შამთრის
ეინვასა და წვიმებს.
მალე ფანტელეები,
ხელისგულისტოლა,
ტყეს და მიწას უნდა
დაეფინოს თოვლად...
ჯერ კი აკაკუნებს
წვიმა მოსაწვენად,
უზუზუნებს ქარი
ხეებს მოსახრულად.
დაბალახობს ტყის ჰირს
სერზე თეთრი ცხენი...
ქარი, ისევ ქარი,
ცანცახებუნ ხენი.

მხატვარი ზაზა ღიზინაძე

თბილისის
სახ. საბ. რეპუბ.
ბავშვთა მხატვრობის
სამსახური



ხელმრუდა კაცი

მერი პოლქვაძე

მხატვარი ვაჟა ქარხული

ირაკლი და ირაკლის მამა მდინარეში ბანაობენ. მდინარე არც ძალიან დიდა, არც ძალიან პატარა, არც ძალიან ჩქარი, არც ძალიან ნელი; დიდ და პატარა ქვებზე სიმღერითა და ხტუნვა-ხტუნვით გადმორბის და მოცეკვაობს; აქეთ-იქითა მხრიდან პირშვენიერი ხეები, ბუჩქები და ყვავილები მისხდომიან და მის ლამაზ სრბოლას თვალს ადევნებენ; იქვე, მოშორებით, ირაკლის პატარა ფეხსაცმელები და ირაკლის მამის დიდი ფეხსაცმელები ურია; ტანსაცმელი თელაზე ჰკიდია. ფეხსაცმელებში ხან ერთ ცალში, ხან მეორეში, ხან მესამეში, ხან მეოთხეში ჩიტი ჩასკუპდება, ამოსკუპდება, ჩასკუპდება, ამოსკუპდება; ნიავეც ასე იქცევა.

შვის სხივები ყველა ფეხსაცმელში სხედან, სხედან და არ ინძრევიათ. საიდანღაც მოფარფატდა პეპელაც. პირდაპირ ირაკლის ფეხსაცმელში ჩაეშვა ფარფატით, ამოფარფატდა, მეორეში ჩაფარფატდა, თან გაიძახის:

— რა კობტებია, რა კობტებია, რა ლამაზებია, რა ლამაზებია!

— ჰო, ძალიან ლამაზებია. — დახტუნაობს ისევ ჩიტიც ფეხსაცმელებში.

— არავინ წილოს! — უცბად წამოარაკუნეს აქამდე პირმოკუმულმა იქვე მიყრილ-მოყრილმა ქვებმა. ნიავს აღეუვები-საგან სუნთქვა შეეკრა. ყვავილებს გული გადაუქანდათ. პეპელასაც გული აუქანკალდა. ჩიტმა ფეხსაცმლიდან ფეხსაცმელში ხტუნვა შეწყვიტა და ქვებს მიაჩერდა გაკვირვებით: „ვინ უნდა წილოსო?“.

ქვებმა ერთმანეთს გადახედეს და მერე ყველამ ერთდროულად თქვა: რაა, ცოტაა ხელმრუდე კაცი?...

— დაიკარგოს აქედან ეგ ხელმრუდე კაცი! — დაიგმუტუნა ბრაზით ნიავმა, და კიდევაც ვიღაც კაცი არ წამოადგათ თავზე? ისე უცაბედად გაჩნდა, თითქოს მიწიდან ამოძვრაო? ხელი სტაცა ირაკლის კობტა, ლამაზ ფეხსაცმელებს, შვის სხივები და ნიავი მიწაზე გადმოყარა, სასწრაფოდ ერთი ფეხსაცმელი ერთ ჭიბეში ჩაიტენა, მეორე — მეორეში და ჩქარი ნაბიჯებით გაქუსლა...

— სად მიგაქვს, სად? — თავს დააცხრნენ შუის სხივები კაცს, ნემსებივით უჩხვლიტეს, თან გაჰყუნენ. ნიავე ჭერ გაოგნდა, ეს რა მოხდაო, მერე, გონს რომ მოეგო, დაჰკრა ფეხი და გავარდა, კაცს გამოეკიდა; უკან მიჰყვა ჩიტი. წამოიწია პეპელამაც გასაფრენად, მაგრამ მაყვლის ბარდი ეცა ტოტებით ფრთებში და ადგილზევე დასვა: „შენ სადღა მიჰყუნულებ იმათ! ნეტავ, შენ რა შეგიძლია, შე ნიავისა და ნისლის ფერფლოო“. — სამაგიეროდ მაყვლის ბარდი ქვებს გაურისხდა: „არ გაინძრეთ, აბა, ერთი, ეჟარენით ეგრე უძრავად ერთ ადგილზე თქვე მართლა ქვებოო“, — და მაშინ კი მაყვლის ბარდისაგან დატუქსულები, უმალ, ხმისამოუღებლად წამოცვივდნენ, წამოიშალნენ და ზუზუნ-ზუზუნით გაენტნენ, რომ კაცს დასწროდნენ...

აგერ ისიც!

კაცი მირბის, მირბის, მირბის თავპირისმტვრევით, სულ მალაყ-მალაყს გადადის — ისე; იმიტომ, რომ შუის სხივები ნემსებივით ჩხვლტენ; ნიავე უხიციხვილოს ცხვირ-პირში აყრის, რაც იმ გზაზე მტვერი და ნავავია; ჩიტი, სადაც მოხვდება და მოასწრებს, იქ უნისკარტებს. ახლა ქვებიც გამოჩნდნენ, პირდაპირ ზურგში ეტაკნენ. კაცმა კიდევ უმატა სირბილს, იქნებ სადმე შევასწრო მოფარებულ ადგილს და მივიმალოო...

— როდემდე უნდა ვდიოთ, მაინც ვერ წავართმევთ, — ცოტა ხნის დევნის შემდეგ თქვა ნიავემა, — დავბრუნდეთ უკანო, — და ყველანი დაბრუნდნენ ისევე უკან, მდინარესთან...

ჩიტი თელის ტოტზე ჩამოკდა, ნიავე მაყვლის ბარდის ძირას გაგორდა დურ-დურ-დურდურით, ქვებიც თავ-თავიანთ ადგილებზე დალაგდნენ... ხმა ჭლარავის ამოუღია... აღარც პეპელას და არც ყვავილებს უკითხავთ რამე...

ცოტა ხანში ირაკლი და ირაკლის მამა მდინარიდან ამოვიდნენ. ტანი შეიშრა-

ლეს, ტანსაცმელი ჩაიცვეს. ახლა ფეხსაცმელები უნდა ჩაიცვან. აი, ირაკლის მამის ფეხსაცმელები, ირაკლისა სადღაა? არაა. ირაკლის მამამ იქაურობა მოათვალიერა, გზას გახედა... იყურა, იყურა აქეთ-იქით; „ვილაცას წაუღიაო“, — თქვა მერე უგუნებოდ. ირაკლი მოიღუშა, გაიბერა, იღვა, იღვა ასე ცოტა ხანს და მერე წამოიძახა: — ცუდია, ცუდი, ვინც წაიღო, — შიშველ ფეხებზე დაიხედა, — ახლა, ახლა როგორ წავიდე სახლში?

— მაგას ეშველება, მაგრამ აი, იმ ცუდ კაცს რა ეშველება, იმის მრულე ხელებს რა გაასწორებს, არ ვიცი. — უმასუხა მამამ, ირაკლი ზურგზე მოიკიდა გულდასავით და სახლისაკენ მიმავალ გზას გაუდგნენ...

— ნეტა, ის კაცი დაგვაქერინა და ხელები დაგვაჩქჩქინა, — ინატრეს ქვებმა.

— ცოდოა, ცოდო, — წაიჩურჩულეს ყვავილებმა.

— ვინ არის ცოდო? — აქეთ ჩიტი შეწროაღდა, იქით — ნიავე. პეპელამ ფრთები ააფათქუნა შემფოთებით...

ყვავილებმა ისევ ჩაიფურჩულეს: — ის ბავშვი, რომელიც იმ ფეხსაცმელებს ჩაიცვამს და არ ეცოდინება კი, რომ მოპარულია, და... — ცოტა ყოყმანის შემდეგ განაგრძეს, — ის კაციც, ის ცუდი კაციც ცოდოა; ცუდი რომ არის, — იმიტომ.

ნიავემ ერთი კი გადახედა ყვავილებს, ყველა თქვენ როგორ უნდა გეცოდებოდეთო, ახტა-დახტა და სადღაც გავარდა. ჩიტმაც რალაც ჩაიულურტულა და ისიც გაფრინდა... პეპელა იქვე დარჩა — მაყვლის ბარდზე ღამის გასათევად. — იქნებ მართლა ცოდოა? — კარგა ხნის ფიქრის შემდეგ ჰკითხა ქვებს.

— იქნებ, იქნებ, იქნებ, ჰა? — დაფიქრდნენ ქვები და პასუხის გაცემის მაგივრად, გაოგნებულები მიამტვრდნენ უკვე ჩასასვლელად გამწადებულ, ცის დასალიერისაკენ გადაქცეულ, გადაქანებულ მწვეს.

ფრანგული ზღაპრის

ფრაგმენტი

ოთარ ჭილაძე

გზასე მოდის ერთი ვირი,
ვირს მოჰყვება უკან ძაღლი,
ძაღლს მოჰყვება უკან კატა,
ხოლო კატას — მამალი.

მოკლედ, ვირი მობრძანდება
თავის ჭრელი აძალით.

გემინოღეთ, უახლესო!
მგონი, მართლა მოენახოს
თქვენს სიმხეცეს წამალი:
ვირის წიხლი,
ძაღლის კბილი,
კატის ბრჭყალი,
მამლის კლანჭი
და სხვა და სხვა მრავალი...

მოკლედ, ვირი მობრძანდება
თავის ჭრელი აძალით.



მხატვარი ბასო სილაშვილი

„ვედრო“

მოგვიტანა ზანამ „ვედრო“,
რამდენი და, მთელი ვედრო!

დაგვირიბა ეველას თუითონ,
რამდენი და, თითო-თითო.

რასაც კევი ერქვა თქვენ დროს,
იმას ჩვენ დროს ჰქვია „ვედრო“.

გივი ვაგაპორი

რუსეთში გამგზავრება. ოღვსა. ვორონცოვის მპრობი „ნავი“.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ აკაკი პეტერბურგში სასწავლებლად მიემგზავრება. მგვრამ იგი არ გამკვებარუსეთში განათლების მისაღებად ადრე წასულთა გზას — თერგი რომ გადაიარეს და ამიტომ „თერგდალეულები“ შეერქვით. ის და მისი ღობა, წერეთლების ერთგული შინაყმა, ცხენებით ჩაულენ ორპირამდე, მერე ნავში ჩასხდებიან და ფოთამდე რიონით ივლიან. რულ რამდენიმე დღით გვიან რომ გამგზავრებულებივხენ, უთოოდ ორთქლის გემით იმგზავრებდნენ, რადგან სწორედ 1858 წლის მისინი დაიწვეს ფოთიდან ორპირამდე მიმოსვლას პირველი ორთქლის გემი „აკერმანი“.

აკაკი ფოთში სამ დღეს დარჩება და მის ქალაქად კურთხევისაგ დაესწრება. მერე კი ოდესისკენ წავა. იქ საქართველოს ყოფილი მთავარმართებლის, მიხეილ ვორონცოვის ქვრივის ნახვა აქვს დავალებული მშობლებისაგან, რომლებმაც მისთვის მისარბოველად დიდი გიშრის ჯვარი გამოატანეს.

მიხეილ ვორონცოვს კარგად სცნობია აკაკის მამა როსტომ წერეთელი. აკაკის მამა დავითი გიმნაზიის უფროს კლასში ყოფილა, როცა ქუთაისს თავისი ამაღლით თავადი ვორონცოვი სწევია. როსტომი სტუმრებს აივანზე შეკვებებია, იქვე ყო-

ფილა დავითიც, რომელიც ვორონცოვს ისე მოსწონებია, რომ მამამისისათვის უთქვამს: სამხედრო სამსახურში უნდა გავაწესოო. როსტომს უთხოვია, ოღონდ შეიღს შორს ნუ გამგზავრებითო. ასე დაწვებულა თურმე ვორონცოვისა და როსტომ წერეთლის ნაცნობობა.

აკაკის მამას ვორონცოვის ქვრივი ელენე კარგად იცნობდა, ამიტომ საქართველოდან ჩამოსულ ჭაბუკს ის შეიღივით მიიღებს, საქართველოს ამბებს გამოჰკითხავს და აკაკი რომ საჩუქარს გადასცემს, ცრემლი მოერევა, ჩემს მუუღლეს ქართველები უყვარდა, და ქართველებსაც ვახსოვართო. აკაკიმ კარგად იცის ამ სიყვარულის ფასი. რუსეთში გამგზავრებამდე დაწერილ ღვესში „ნავი“ მას საქართველოს მდგომარეობა ასე აქვს წარმოდგენილი:

შუაგულ ზღვაში ნავი იღუპება. ამ დროს გამოივ-

ლის დიდი ხომალდი. ნავს გაუხარდება და ხომალდს შევედრება, მიშველეთო. ხომალდს ნავი შეებრალება, ჯაჭვს მოაბამს და განრისხებული ქარიც ვედარაფერს აკლებს ხომალდს შეფარებულ ნავს. მას შემდეგ ნავი ვითომ მშვიდად არის, მტერი აღარ ემუქრება, მგვრამ ახლა თვით ის ხომალდი აყრის თავზე მტვერსა და ნავს.

პამბრპრბი. აპაკის ძმა იღვიკო. პამბრპრბის შნივერსიტაზში. „მუშური“.

იმ დროს, როცა აკაკი ოდესიდან პეტერბურგს მიემგზავრება, რკინიგზა მხოლოდ პეტერბურგსა და მოსკოვს შუა გაყვანილი. სხვაგან მხოლოდ ფოსტის „პოვოზკები“ მიდი-მოდინ. აკაკიმ გზას ფოსტის ეტლით გაუყვება. ერთი თვის თავზე პეტერბურგში. ივინის დასაწყისია, თეთრი და-



მხატვარი ელვარდ აგბოკაძე

და 1864 წელს ბატონი-ბა საქართველოში დაბრუნდა.

წერილი ლეონთან.
„საიდუმლო ბარათი“.
აპაქი უნივერსიტეტის
ასრულაბს. დაბრუნება.
„ნათელა“.

მაგრამ ჯერ აკაკი პეტერ-ბურგშია. ფიქრით კი სულ შინ არის, საქართველოში. ძილი უტყდება, რატომ დაიგვიანა დედის წერილმა? ქაღალდს დასწვდება და წერილის სწერს დედას: უსაყვარლესო ბატონო დედა, დღესასწაულის მოლოცვით ხელებს ვიაბობრებო, ბართოს ხშირად რომ არ ვიწერები, არ გაგიკვირდეთ, არ გამამტყუნოთ; დროზე უნდა წავიდე, დროზე ვკვამო, დროზე დავიძინო, ნახევარი საათი რომ სადმე შევრჩე, ძილი უნდა ღვიკლოთ.

აკაკი პეტერბურგიდან ლექსებსაც ავსავნის ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორ ივანე კერესელიძესთან. თავდაპირველად მისი ლექსები ინიციალებით ქვეყნდება, მაგრამ ლექსს „საიდუმლო ბარათი“ ივანე კერესელიძე სრულად მოაწერს აკაკის სახელსა და გვარს. ეს ლექსი აკაკის სახელს გაუთქვამს.

«საიდუმლო ბარათი, მემქნე... მემქნე მარადი, სიბარჯლის მომწიჭე და სევდისა ფარადო».

პეტერბურგშია დაწერილი აკაკის ლექსი „ქართლის სადამო“, რომელშიც აკაკი სამშობლოს მოუწოდებს, აღსდგე, გვეყოფა, ბვერი გვიძინა! თუ იშრომებ, ცეცხლის გემუბიც გექნება,



შეების დრო, და რომ არ დაღამდება, აკაკის შინაყმის გაოცებას სახლგარი არ ექნება.

პეტერბურგში აკაკი მანუჩე თავისი ძმის, ილიკოს სანახავად წავა, ილიკო იმპერატორის პირად ამალაში მსახურობს, თავადი შვილებთან ერთად. აკაკის ყველა ურჩევს: რახან სამხედრო სამსახურში შესვლა დავიპირებო, აქვე ჩვენთან დარჩი, იმპერატორის პირად ამალაში სამსახურს. რა სჯობსო. მაგრამ მათი რჩევა აკაკის ჭკუაში არ დაუჯდება. მართალია, კარგადაც სვამენ, კარგადაც ჭამენ, კარგადაც აცვიათ, დღეში რამდენიმე საათს ცხენებსაც აჭენებენ, მაგრამ აკაკის „იანირობა“ სულაც არ უნდა, პირიქით, სამხედრო სამსახურში შესვლა იმიტომ გადაუწყვეტია, რომ სამხედრო საქმე შეისწავლოს და თავის ქვეყანას გამოადგვს.

ილიკო აკაკის ბინად დროებით მიიყვანს პეტერბურგის ქართველ სტუდენტებთან. ისინი ურჩევენ აკაკის: სამშობლოს შენი ცოდ-

ნა უფრო გამოადგება, ვიდრე შენი გულუბრყვილი ოცნებაო; სამხედრო სამსახურს გადააფიქრებინებენ და პეტერბურგის უნივერსიტეტში აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტზე შესვლას გადააწყვეტინებენ.

1860 წელს აკაკი პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტია.

იმ დროს რუსეთის მოწინავე საზოგადოება და გლეხობა იბრძვიან, რომ რუსეთში ბატონყმობა მოიშოროს. ახალგაზრდებსაც განსაკუთრებით აღუვებთ გლეხკაცობის მდგომარეობა.

ახე აკაკიც. იგი წერს ლექსს „მუშური“ და აღბათ თვალწინ უდგას სადუნიშვილების გამჭვარტლული სახლი სავანეში, სადაც მას აკვანს ურწევდენ; თვალწინ უდგას სიმინდის მოიხნელები, რომელთა მონაწერი ოფლით უხვად ღებება ცხელი მიწა, მაგრამ მათი ჯაფით მონაყვანი სახარდო სხვას მიაქვს.

«...ბატონი გვაყავს, ვართ საწყვალე, უპატრონი, უბედური...»

გავა რამდენიმე წელი

რკინიგზებზე, ტელეგრაფზე; როგორც შენს ბუნებას შეფერვის, ისე გაისარჯე და განათლება გავარცე-ლეო...

აკაკის გულში ახალ-თაობის იმელი უღვივია. სჯერა, საქართველო ვაცოცხლებია! ძველთა-ძველი სამეფო, საქართველო დღეს სწეულია, ისე დაშტეპარია, როგორც ზაფხულში მზე აჭკნის მდელოს, მაგრამ დრო შეიცვალაო.

ერთ წერილში ის ამ დროს გაზაფხულის გამოღვიძებებს ადარებს: „გაზაფხულის პირად, სულ პირველ ხანებში, სანამ ტყე ფოთოლს მოისხამდეს და ხე ყვევინს გამოიდებდეს, კოკორი გათფურჩქნებოლეს, ჯერ კიდევ გაცრცნილ მცენარეულობას რაღაც სხვა ფერობა ეტყობა, თითქოს კარგ რასმე ეპირება და დიმილი მოსდისო. ეს გაზაფხულისაკენ გადასადგმელი ბიჯია, ის დრო, როდესაც ჯერ კიდევ მცენარის ტანში უჩინრად ჩამდგარი ცხოვერების წყალი ნელ-ნელა მხოლოდ მაჯას აცემინებს, რომ მერე, ერთთავად გამოხეთქოს, გამოადვიდოს მიძინებული ბუნება და სიცოცხლით სავსე შემოსოს ფოთოლ-ყვავილებით. მაშინდელ ჩვენს ცხოვრებაშიც სწორედ ამგვარი დრო იყო...“

1862 წლის 31 მარტს აკაკი უკანასკნელ გამოცდას ჩააბარებს და საქართველოში გამოემგზავრება.

ყველას აღვიღად შეუძლია წარმოიდგინოს, როგორი გულისძგერით უახლოვ-

დება რუსეთიდან მობრუნებული აკაკი შმობლიორ სახლს. ის ყველას მოინახულებს, სავაჭროშიც გადავა ძიძასა და ძიძიშვილებთან, ხშირად იქნება საჩხერეშიც ხშირად ახელავს მოდინახეს... მოდინახეს წარსულს აკაკი მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში გააცოცხლებს პოემა „ნათელაში“. მოდინახის პატრონის, წერეთლის ასულს — ნათელას ის წელში ვიწრო, წერწერტ, ბეჭებში განიერ თეთრ ჩოხას შეაკერინებს, ზედ ოქროს დილებს შესახმევენებს და ცრემლით გააბანინებს. ვისაც ის ჩოხა ტანზე მოერგება, ვინც იმის საპირეს მტრებთან ბრძოლაში სისხლით შედეგავს და ნათელას მტრის ას ოც თავს მთართმევს სარეგზე ჩამოსაცმელად, ის მოიგებს



ნათელას გულს.

ერთ მშვენიერ დღეს უკანონობი მხედარი აღმდგომი ყვირილას გადმოლახავს და მოდინახეს მიაღვება. სარკმლიდან ვრიალით და-რეშვება თეთრი ჩოხა, მხედარი მთარგებს, თეთრონს მოახტება და გაპქუსლავს. მას მერე ნათელას მოდინახეში მოსდის საშობოდეს მტრების მოჭრილი თავები... და აი, მოდინახესთან წითელ ცხენს მოაჭენებს წითელი ჩოხით მოსილი ვაჟაკი, ნათელას ციხეში ავა, მის წინაშე მუხლს მოიყრის და მტრის ასმეოცე თავს მიართმევს. ვინა ხარ? საიდან მოსულხარო? ჰკითხავს ნათელა. ყრბა უბახუბებს: ცოტნე დადიანო.

მოდინახედან ცოტნე დადიანი ნათელას საშკრელოში წაიყვანს. ეს ის დროა, როცა „აქერი და იმერეთი აირია, აიშალა“, როცა საქართველოში მონღოლები მბრძანებლობენ და ცდილობენ გათიშონ ქართველობა.

ნათელა ჩონგურს მისწევება და თავისი სიმღერით დაქუცმაცებული საქართველოს ერთიანობისაკენ მოუწოდებს ყველას. „ერთობა ჩვენთვის ტახტია, მტრებისთვის სახრჩობელაო“. ცოტნე გაუშნებს ნათელას, — დღესწორს ჯავახეთს მივდივარ, მონღოლების წინააღმდეგ შეთქმულებმა თავი იქ უნდა მოვიყაროთო. მაგრამ შეთქმულება გამჟღავნდება.

აკაკის პოემაში ნაამბობია, თუ როგორ იხსნის ცოტნეს თავგანწირვა და ნათელას ერთგულება შეთქმულ ქართველებს...

ანანო-მოცეკვავი

თარიღი: მანძური

რომ იცოდეთ, ანანო
რას უძერები ტანს! —
ცეკვავს გაუთყუბლად,
ცეკვავს ბრეიქ-დანსს!
თან თხილს ანატუტებს და
თან ღიღინებს, თან
ცეკვავს, ბრუნავს, ტრიალებს —
როკავს ბრეიქ-დანსს!
ტვისტსაც ცეკვავს ანანო,
ცეკვავს როკს და შეიქს,
მაგრამ ერთი ხანია,
უფრო ცეკვავს ბრეიქს!
მაგრამ ვერ მოუწონებ
ვერც ერთ ქალს და ვერც ერთ კაცს:
თურმე ჩვენი ანანო
ქართულ ცეკვას ვერ ცეკვავს.





წილარ გუგუშვილი

სპორტის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახეობა — კრივი განვითარდა მუშტი-კრივიდან, რომელიც ჯერ კიდევ 5000 წლის წინათ იყო ცნობილი ეგვიპტესა და ბაბილონში. მუშტი-კრივისა და ჭიდაობის თავისებური შერწყმა — პანკრატონი ანტიკური ოლიმპიადების პროგრამაში შედიოდა. მოკრივის ოსტატობას არაერთი სიმღერა უძღვნა ძველი საბერძნეთის უდიდესმა პოეტმა, «ოლიადისა» და «ოდისეას» ავტორმა — ჰომეროსმა. კრივში ოლიმპიური წემპიონის დაუნის გვირგვინით ამავიბოდა დიდი მეცნიერ-მათემატიკოსი — პითაგორე.

დღეს მთელ მსოფლიოში გავრცელებული კრივის ინგლისური სახელწოდება — «ბოქსი». «ბოქსი» ყოფს ნიშნებს და, როგორც ჩანს, მოკრივეთა ასპარეზის — რინგის ფორმას გულისხმობდა. მაგრამ ამ სიტყვას სხვა აზრიც აქვს — ის დარტყმის ძალას ნიშნავს.

1867 წელს ინგლისში დამკვიცდა ხელთათმანია-ნი კრივის წესები. კრივის თავდავისწეებული მოტრფივალე, გამომწეილი ინგლისელი დრამატურგი ბერნარდ შოუ ასე განმარტავდა კრივის წესებს: «რაუნდი, ანუ ბრძოლის ერთი მონაკვეთი, მტკიცედაა რეგლამენტირებული სამი ან ოთხი წუთის ფარგლებში. მოკრივე, რომელიც ამ წნის განმავლობაში მტკიოქვს ვერ გაუძლებს (ნოკაუტში მყოფი 10 წამში უსათუოდ ფეხზე უნდა წამოდგეს), წაგებულად ჩაითვლება. ამ 10 წამიანსა ლიმიტმა თანამედროვე კრივის განუმეორებელი ელფერი შესძინა... კრივში საგანგებო მნიშვნელობა აქვს ჭკუას, ოსტატობას, სისწრაფეს და მოხერხებულობას. უჩვეულო ფიზიკური ძალა ამ სპორტში დავსომილ უნდა იქნას».

კრივი საქართველოშიც გამორჩეული გართობა იყო. თბილისური კოლექტიური მუშტი-კრივი უმეტესწილად ყვენობის დროს იმართებოდა, აგრეთვე განაზღვრულით — კვირაცხოვლობისა და თელეთობის სახალხო დღესასწაულების დღეებში. ვოგო-ბიჭები და ყმაწვილები, მოხუნენი და ბანოვანნი გამოეფინებოდნენ ხოლმე სოფლაკისა თუ შურის ციხის

მიდამოებში, რათა მაღლიდან უკეთ ედევნებინათ თველი სანახაობისათვის.

კრივის დიდი ქომაგი იყო XIX საუკუნის ქართველი პოეტი გრივოლ ორბელიანი, რომლის მეგობარი და თანამისოფრე გახლდათ თბილისელი ფარაონხელი, მოკრივე ლობიანა.

თანამედროვე სპორტში მკვეთრად არის გამოხეული ერთმანეთისაგან პროფესიული და სამოყვარულო კრივი. პროფესიონალთა შეხვედრებში ადრე დროს არ განსაზღვრავდნენ და წმირად ბრძოლა რამდენსამე საათს გრძელდებოდა. მაგალითად, ცნობილია ორთაბრძოლა, რომელმაც 7 საათსა და 19 წუთს (110 რაუნდი) გასტანა.

მოყვარულები 3 რაუნდიან შეხვედრებს ატარებენ (თითო რაუნდი სამწუთიანია). შეხვედრებები ტარდება სხვადასხვა წონის კატეგორიებში.

მსოფლიო სპორტის ისტორიამ იცის მოკრივეთა მრავალი, დღეს ლეგენდიად ქცეული სახელები — ჯო ლუისი, ჯო ფრეზერი, კასიუს კლევი და სხვა.

ქართველი მოკრივეებიდან საბჭოთა კავშირის წემპიონები იყვნენ შალვა გორგასლიძე, ანდრო ნავაბარდოვი, ლევან ლულუშაური და სხვანი, ხოლო დავით კვაჭაძე 1977 წელს ვერობის წემპიონიც გახდა.



მხატვარი მანანა შორიჩიკაძე



ზღარბი — ზურაბის ზღაპარი

დავით ჯაფარიძე

ერთ უღრან ტყეში ცხოვრობდა ერთი ბებერი ზღარბი, სახელად ზურაბი. მერე და რაო, გაიფიქრებს ვინმე, ზღარბიც რამეა?! მართლაც და, ზღარბების შტოც რაა ქვეყანაზე?! გააოთხე დაბით რომელ ტყეში უნდა ვხედავთ და თრ-საშს თუ არ გადავიყრებით გზაზე, იმასაც ნახავთ; მაგრამ საქმე ისაა, რომ ჩვენი ზურაბი არ იყო ზველეთბრთვი ზღარბი, ის მელთოცი გახლდათ. ერთ დღე უნდა მას და არც არავის სხვას, ტყის ბინადართგან, აღარ ახსოვდა, თუ რისგან და როდის

გამელოტდა ზღარბი-ზურაბი. მხოლოდ სამას წელს მიღწეული ყვავი-ყვარყვარე ამტკიცებდა, რომ უნდა იყოს ელექტროსადგურზე რომ ავიარო მობდა; ზურაბის თათვისის ღამაში ეკლები სწორედ იმ წელს გასცვივდაო. მართლა ასე იყო თუ არა, ეს არავინ იცოდა, მაგრამ ზურაბი რომ წამდეილად მელთოცი იყო, ამას კი არავითარი მტკიცება არ გასჭირებოდა, ეს ისედაც შეუთარალებელი თვალთიაც მშვენივრად ჩანდა.

მელთოცი ზღარბი-ზურაბი ახალშობილ ვარდისფერ გოჭს ჰგავდა, განსხვავება მხოლოდ იმაში იყო, რომ გოჭივით არა ქვევითნებდა, დინეო კი გოჭისაზე ბევრად უფრო წვეტიანი და მოწიბობავე ჰქონდა.

რას წარმოადგენს ეკლები ზღარბისთვის, ეს აღბათ ყველას ჩემზე უკეთ მიეხსენება. ვის ან უნახავს, თუ ბუნებაში არა, კინორა ან ტელევიკანზე მაინც, როგორ ბურთივით დამრეკვალდება ხოლმე რაიმე ხიფათის გადავრდილი ზღარბი, როგორ წამსვე აებურძგნება და ვალზე დაუდგება ჩხველგტია ეკლები. აუღლები ცოხვა, მიდი და მიეკარე, აბა, თუ ბიჭი ხარ! ეკლებიგაცვენილი ზღარბი კი თითქოსდა პირიქით, სრულიად უმწეო და უსუსურო არსებდა უნდა იქნეს, მაგრამ, სურას უკაცრავად, ზღარბ-ზურაბს ამას ვერაფერს დააბრალებდა. მართლა რომ უმწეო გამხდარიყო, სიბერემდე აბა როგორ მიატანდა? არადა, ისე, იმ უკვედ ყვავი-ყვარყვარეს თუკი დაეფერებოდა, ზურაბი სულ ცოტა სამოცდაათი წლისა მაინც უნდა ყოფილიყო, რადგანაც თურმე სწორედ მისი დაბადების წელს მისი მამა ქვეყნად ის დიდი დავიდარბაბა, რომელიც დღემდე გრძელდება და რომელსაცაც ჯერჯერობით მელთოცი არ უნახს.

თუ როგორ ცხოვრობდა ზღარბი-ზურაბი უეკლებოდა, როგორ აღწევდა თავს იმ ათასწიარ განსაცდელს და ხიფათის, რომლითაც მუდამ საცხვა ყოველი უღრანი ტყის გაუგული ტყვი, ვეფირობ, სახალისო საკითხავი უნდა იყოს. პოდა, დაიწყოთ. მამ ასე:

ერთ უღრან ტყეში ცხოვრობდა ერთი მელთოცი ზღარბი, სახელად ზურაბი. მისი ყოველი დღე, ისევე როგორც ტყის სხვა ბინადართა დღეები, იწყებოდა ყოველდღიური და არამარტო ყოველდღიური საზრუნავით: რა გჭამა დღეს? რა შეენახა სახვალისად? რა მიემარაგებინა გამოსაზამთრებლად? მერედა, რა მკაცრი, რა უღმერთოდ გრძელი ზამთარი იცოდა ამ ტყეში! ამის გაფიქრებაც კი საკმარისი იყო, რომ ზურაბს თავის უეკლო, ვარდისფერკანიან სხეულზე სულ ბურძგლები დაჰქროდა. მაგრამ მისი არსებობის მთავარი სიხვედ მაინც ეს არ იყო. საზრდოს შოვნაზე მეტად მას საკუთარ უმეშროებაზე ზრუნვა უფრო უხდებოდა. უხმოდ, თითის წვერებზე დაეკრძალებოდა ხოლმე ზმირ ტყვრში, ხავსითა და ნემსიშალათი მოფენილ მიწაზე; და პატარა თვალებს ფხიზლად აცეცებდა აქეთ-იქით, არიქა, სადნანდაც რაიმე აფრთხის მოაღივებდა არ გამთეპარის და შეუძრველი არ დამჩრქეს. არადა, მართლაც, ვინც არ უნდა შეხვედროდა გზაზე, — დათვი, მგელი, ტურა თუ მელა, — ყველა უმეკვლიად მის შვეჭმის ან აბუნად ადღებას ინდომებდა. რატომ იყო ასე ცუდად მოწყობილი ეს ტყე და, საერთოდ, ეს ქვეყანა, მწილე სათქმელია, მაგრამ



სიმიონი

დედამიწის დიდ ნაწილს, ხორბლის შემდეგ, სიმიონი მაინც მთავარ საკვებად, სიმიონი და ბრინჯი.

სიმიონის სამშობლო ამერიკაა — მისი ცენტრალური და სამხრეთი ნაწილი. აქაური ინდიელების — ატტეკების და ინკების წინაპრებს, სიმიონი მოჰყავდათ ქრისტეს დაბადებამდე 5000 წლის წინათ. სიმიონს ისინი **მაისს** ეძახდნენ და წმინდა, ღვთაებრივ მცენარედ მიაჩნდათ. დაფუძული სიმიონისაგან მოდულეული ცხელი ფაფა, ატლო მათი ყველაზე საპატიო საზრდელი იყო.

ამერიკიდან ევროპაში სიმიონი კოლუმბმა ჩამოიტანა. ეს იყო მე-15 საუკუნის ბოლოს. ესპანეთიდან სიმიონი მალე სხვა ქვეყნებსა და კონტინენტებზე გავრცელდა. მე-17 საუკუნეში სიმიონს უკვე ქართველებიც თესენ. აქაურობას იგი შშვენივრად შეეგუა. სიმიონი, საერთოდ, ღონიერი მცენარეა. მისი სიმაღლეა 50—80 სანტიმეტრიდან 5—6 მეტრამდე. ასეთ მაღალ სიმიონში, ისევე, როგორც დაბურულ ტყეში, ძალიან ადვილია დაკარგვა.


სიმიონის მარცვალში ბევრია შაქარი, ცილა, ცხიმი, ნახშირწყლები. კვების მრეწველობა მას ძალიან ბევრ რამეში იყენებს: სიმიონის ფქვილად (როგორი ძვირია ეს ფქვილი ჩვენს ბაზრებში!), ბურღულად, სახამებლად, ბეჭყების საყვარელ „ფანტელებად“. სიმიონისაგან ხდიან სპირტს, ზეთს. მედიცინაში ძველი დროიდანვე ცნობილია სიმიონის ფონის სამკურნალო თვისებები. სიმიონის მარცვალი უმაღლესი ხარისხის საკვებია ცხოველებისათვის. მგვრამ არანაკლები მნიშვნელობა აქვს სიმიონის ღეროსაც. ღეროების, ფუნჯისა და ნაქურნალისაგან მზადდება ქაღალდი, ლინოლეუმი,

ვისკოზა, საიზოლაციო მასალები, ხელოვნური საცობები, კინოფირები და, რაც მოტყუარებს ქონლის საკვები — სილოსი. არის ტკბილი სიმიონიც. ამ ჯიშს აკონსერვებენ. დღია მოთხოვნილება ამ კონსერვებზე.

სიმიონი სხვადასხვანაირად ითესება. თუ სასილოსედ უნდათ, ესე იგი მწვანე, დაუბურებული სიმიონი უნდა აიღონ, — მაშინ ხშირად თესენ. თუ მარცვლეულად უნდათ, მაშინ — თხლად, ერთმანეთისაგან თითო ნაბიჯის დაშორებითაც კი. ასეთი ნათესი ორჯერ მაინც უნდა გაითხოხოს, პირველი თოხნივ გამოიხშირება და სარვევლები მოსცილდება სიმიონს; მეორე — შემოყრაა, ძირმა რომ ღონივრად გაიტანოს ფესვები. თუ კარგი მოსავალია, სიმიონი ჰექტარზე 100 და მეტ ცენტნერ მარცვალსაც კი მოგვცემს. სიმიონის მსოფლიო მოსავლის ნახევარი აშშ-ს მოჰყავს. აქ უმაღლეს ღონეზეა აუჯანილი მისი მოვლა.

სიმიონის დიდი მოსავალი დიდი ძალაა ქვეყნისათვის — ადამიანებისთვისაც, ცხოველებისთვისაც.

სულ დაგვევიწყდ აცეცხლზე შემწვარი ჭყინტი ტარობები, — ცოტა მარილწაყრილი. ასეთ ტაროებს, ალბათ, ციდანაც კი ხარბი თვალით უყურებენ ანგელოზები...



მარი ბრწყინი

ამ ზაფხულს მე და ზაზა დიდი ბაღის ვსიღეთ ბევრი, ეზოში ვმალეთ, გავახსმეთ, ევითლად იცვალა ფერი, რომ მძაღლად იუვნენ ზამთარში: ძროხა, ბოჩოლა, ცხენი — ბუღული დავდგით ისეთი ცხს შიამუხინა წყური.



გოგულო

მანანა ზაზიკაშვილი

ღამა ჩრდილში დატანტალებს,
ეურმენსა კრეფს გოგოცა,
— ზაზა, გოდორს ხელს ნუ ახლებ,
მარანში მე მოვიტან!
ქვევრში ტყბილი მორაკრაკებს,
მღერის ზაზა მახარა.
წლეუანდღამა მოსაფელმა
მელიან გაახარა.
ნინო ბებო ავიდოებს
იმარაგებს, ინახავს...
მე ასეთი შემოდგომა
ჯერ არასდროს მინახავს!



მხატვარი ელზარე ამოკაძე

საქ. სსრ კ. მარკსის
სახ. საბ. რესპუბ.

ქსენოფონი



ქსენოფონტი — ძველი ბერძენი მხედართმთავარი, ისტორიკოსი, ფილოსოფოს სოკრატეს მოწაფე, ერთხელ ტაძარში იდგა და ღმერთებს მსხვერპლს სწირავდა. მოვარდა მაცნე — მალემსობოლი შიკრიკი, მოიტანა საშინელი ამბავი — ქსენოფონტის ვაჟი გრილი ბრძოლაში დაღუპულიყო. ქსენოფონტმა დაიხოქა, გვირგვინი მოიხადა და ისე განაგრძო მსხვერპლშეწირვა. ამასობაში კი მაცნემ ისიც თქვა — მართალია, გრილი დაეცა, მაგრამ სასტიკად დაამარცხა მტერიო. ქსენოფონტმა ისევ დაიდგა თავზე გვირგვინი და ამაყად განაგრძო მსხვერპლშეწირვა.

ხსოვნა

ვისაც ბოლო 40 წლის მანძილზე «დილაში» უმუშავია — რედაქციის მუშაკებს თუ საბავშვო მწერლებსა და მხატვრებს, ყველას ახსოვს აი, ეს კეთილშობილი და სათნო ადამიანი. მაგრამ ჩვენ გვინდა, ყველამ, ვინც კი «დილაზე» გაიზარდა, ყველამ, ვინც დღეს კითხულობს ჩვენს ჟურნალს, იცოდეს, ვინ იყო იგი — ქალბატონი ქეთევან ჭყვიძი.


...ჟურნალის ჭეშმარიტი დიასახლისი, მისი უერთფლესი და უანგარო მსახური, წესიერებისა



და წესრიგიანობის განსახიერება, სულით მაღალი, თავმდაბალი, ღირსებითა და სიკეთით სავსე, და სიკეთე-სიბოროტის უზვაღ გამცემი... ასეთი ადამიანებით მაგრობს ქვეყანა, ასეთები არიან ერის სიმტკიცის და სიწმინდის საფუძველი.

ამიტომ მიაყვება ქალბატონ ქეთევანს ქართული საბავშვო მწერლობის მსვეურთა სუფთა ცრემლი.

შვილებო! თქვენც დაიმახსოვრეთ ეს სიკეთის ნათელი აღბეჭდილი სახე!



1	2	3	4	5
---	---	---	---	---

6	7	5	8	5
---	---	---	---	---

9	10	9	5	11
---	----	---	---	----

4	12	8	5	11
---	----	---	---	----

7	2	3	9	5	2
---	---	---	---	---	---

თავსაცხი

ამ თავსაცხში ციფრებით დაშიფრულია ქართული ანდაზა. ანდაზა რომ წაიკითხოთ, სწორად უნდა გამოიცნოთ სიტყვები ქვემოთოყვანილი ცხრილის მიხედვით, და ამ სიტყვების საწყისი ასოები ჩახვით შესაბამისი ციფრის მაგივრად. ერთი და იგივე ციფრი სხვადასხვა სიტყვაშიც ერთსა და იმავე ასოს აღნიშნავს.

1. იტალიელი საბოგრო მომღერალი — «ტენორების მეფე».
2. ქართული მითოლოგიის უდიდესი გმირი, რომლის ბედსაც ჩვენი ხალხი საქართველოს ისტორიულ ბედს ადარებს.
3. დასავლეთ საქართველოს უდიდესი მდინარე.
4. დიდი ნორვეგიელი კომპოზიტორი.
5. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული რელიგია მსოფლიოში.
6. ძველებური საბრძოლო იარაღი.
7. პოემა — ქართველი ხალხის სიამაყე.
8. ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პრეზიდენტი, რომელმაც გააუქმა მონობა.
9. ფრანგი მწერალი, სათავგადასავლო და ისტორიული რომანების ავტორი.
10. დედამიწის უმაღლესი მწვერვალი.
11. ქვეყანა, «ხადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ».
12. კავკასიონის უღამაზესი მწვერვალი.



საპროექტოს ალკი ცკ-ისა
და ვ. ო. ლენინის სახელობის
ქიქოსი ორგანიზაციის
რესპუბლიკური საბჭოს შერ-
ნალი უმცროსკლასშია-
30ს.

გამოს 1904 წლიდან.
საქ. კ. ცკ-ის გამოცემლობა.

მოავრი რედაქტორი
რეკავს ოსანიშვილი

სარედაქციო კოლეგია: შუბარე ამბო-
კაძე, მანანა ამიძე, ლიანა პაპია,
სოსო გომიგომიძე, მირი დავითა-
შვილი, სოსოთბე მუხრანაშვილი,
ლევია პაპია, ნელა ლოსაბერიძე, პა-
სკალა მრგვლიშვილი, ჯურნა ნაო-
რამი, იმნათი ჩალაბერი (პ. შ. მდინარი),
ბიბი ამილამი, ბიბი ბიბიამაძე.

სამხატვრო რედაქტორი
ბიბიამი ოსანიშვილი

ტექნიკური რედაქტორი
ბიბი შარაძე

მისამართი: რედაქციის, გამოცემლობის,
სტამბის — მბღისი, ლენინის 14. ტელ:
პი. რედაქტორის 93-41-30, 93-98-16;
პ. შ. მდინარის 93-10-32, 93-98-18; სამხ.
რედაქტორის — 93-98-16; განყოფილე-
ბის — 93-98-19.

გაღება ასეულობა 1.09.89 წ., ზღაპო-
წერილი დასაბეჭდელ 25.10.89 წ., ქა-
ლაღლის ზომა 60x90/16, ფის. ნაბ.
ფურც. 2,5. ტირაჟი 168.000, შეკვთა
№ 1973

ფლავ ნახატი
იმნათი მორანაშვილი

«Диаз» («Утро») — Ежемесячный
журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузин-
ского Республиканского Совета
Всесоюзной пионерской организации
им. В. И. Ленина, для младшеклассни-
ков, на грузинском языке.
Отпечатано в типографии издатель-
ства ЦК КП Грузии.
Главный редактор Реваз Иваниш-
вили (тел. 93-41-30).

Адрес редакции и издательства:
380096, г. Тбилиси ул. Ленина, 14.
Объем 2,5 печатных листа, тираж
168000. Заказ № 1973.

ბურაბ კობარიძე

სამკითხველოში

„დამხურელი
ედის თუ უეისა,
წიგნებთან
ვევლა ტუეისა“.



მავალბატურის მიმღებ ბუნძებ

„თქვენი ბეუში თუ არ უელის
წიგნებს ბურბტულად,
მოვეიუენეთ, ჩაუბარებთ
მე ბეუშეს მაკულატურად“.

ბალის კუბარზე

„საზამთრო და მუსა ნესვი
დაკალი და ისე შესვი,
არ სჭირდება მხარეული
მიირთვი მხა-მხარეული;

თქვენთვის სარობს ბალი, ემანო,
ნეტე რა ვაქეთ სეოუმანო,
რამდენიც კსურთ, კრიფეთ ხილი...
სე არ დამხვდეს მოტე-ხილი“.



ლომევის ბალიაზე

„აქ ვცხოვრობთ
მხედთა ტუშებო,
ცხვირწინ ნუ
ავკე-ტუშებო“.



სანაჟინაზე

„წამდღუწუმ თუ
ცივლებო,
ნუინს ნუ ჩაა—
ცივლებო.“

